[redacted]

93 6334.

შენიშვნები და წინადადებები პროექტი "ლ"-ს მიმართ

<u>განიმარტოს რეგიონი</u>

ვარიანტები: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, <u>აფხაზეთი</u>, აფხაზეთის რესპუბლიკა (საქართველო), აფხაზეთის რესპუბლიკა, <u>აფხაზეთი</u> (საკუთარი სახელი ყველა ენაზე).

<u>სტატია 1</u>

ვარიანტები: 1."...საქართველოს კონსტიტუციით აფხაზეთი (პირობითი სახელწოდება) არის ერთიანი საქართველოს შემადგენელი ნაწილი. აფხაზეთის სახელმწიფობერივი წარმონაქმნის სტატუსი განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით და ხელშეკრულებით უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ.

2."...საქართველოს კონსტიტუციით საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, რომლის განუყოფელია ნაწილია აბაზეთი. აფხაზეთის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით "აფხაზეთის სტატუსის შესახებ".

<u>სტატია 4</u>

ვარიანტები:

სახელმწიფო სიმბოლიკათა ჩამონათვალში დაემატოს ჰიმნი.

განიმარტოს აფხაზეთის მოქალაქეობა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისობაში.

<u>სტატია 6</u>

ვარიანტები: აფხაზეთში სახელმწიფო ენაა აფხაზური, ქართული; გარდამავალ პერიოდში რუსული ენა შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებში. აფხაზეთში მცხოვრებ ყველა ეთნიკურ ჯგუფს გარანტირებული აქვს მშობლიური ენის თავისუფალი გამოყენების უფლება.

<u>სტატია 8</u>

ფორმულირება:

1.აფხაზეთს გარანტირებული აქვს წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტის ორივე პალატაში რესპუბლიკის საბჭოსა და სენატში.

ბ)აფხაზეთის უმაღლეს წარმომადგენელ ორგანოს მინიჭებული აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს პარლამენტში (ასევე აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს აქვთ საკანონმდებლო წინადადებათა უფლება საქართველოს ხელისუფლების შესაბამის შტოებში).

2.მე-2 მუხლი ამ სტატიიდან ამოღებულ იქნას (და გადატანილ იქნეს აფხაზეთის სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში).

სტატია 9

დასაზუსტებელია შესაბამსობის საკითხი საქართველოს კანონთან თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ.

სტატია 10

სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების დეტალიზაცია (გარდა "ა" და "ჟ"-სი) იქნებ მიზანშეწონილი არ არის. მისი ადგილი, ალბათ, აფხაზეთის კონსტიტუციაშია.

სტატია 11

"ა" ქვემუხლს სჭირდება დამცავი მექანიზმი, რათა აფხაზეთის კონსტიტუცია არ გავიდეს (ადგილი არ ჰქონდეს კანონთა კოლიზიას) საქართველოს კონსტიტუციური სივრციდან.

"ე"-"ნ" ქვემუხლი იქნებ შეიცვალოს ეკონომიკის განვითარების ზოგადი მიმართულებებით.

"უ" ქვემუხლი გადასატანია ერთობლივ გამგებლობაში მიკუთვნებულ საკითხებში.

სტატია 17

ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს დაემატოს მესამე მუხლი "კანონებისა და ნორმატიულ აქტების კოლიზიის შემთხვევაში კონსესუსის მიღწევა კანონით დადგენილი წესით."

სტატია 21

მე-2 ქვემუხლი საჭირო არ არის (განსაზღვრულია მე-17 სტატიით)

სტატია 23

1 და მე-2 ქვემუხლები გაერთიანდეს.

მე-3 ქვემუცლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით. "აფხაზეთის რაიონული (საქალაქო), საოლქო სასამართლოების შემადგენლობის რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი აფხაზეთისა და საქართველოს იუსიტიციის საბჭოების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე.

სტატია 28

მე-2 ქვემუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობის რაოდენობას აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წინადადებით განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

<u>სტატია 32.</u>

ქვემუხლი "ვ" შერბილეს საკონსტიტუციო-საინფორმაციო უფლებამოსილებით.

<u>სტატია 34</u>

"ბ" ქვემუხლი შეიძლება მოაზრებულ იქნას წინა და მომდევნო პუნქტებში.

<u>სტატია 37</u>

საინტერესო წინადადებაა, მაგრამ სახელწოდება, ფუნქცია, შინაარსი, ფორმა და ამოქმედების დრო უნდა განისაზღვროს.

<u>სტატია 39</u>

"ა" ქვემუხლის ფორმულირებაში საქართველოს პარლამენტი

"ბ"-ში "საქართველოს პარლამენტი

"ვ"-ში უნდა განისაზღვროს ცვლილებების ხასიათი, რომელიც მოითხოვს რეფერენდუმის აუცილებლობას.

<u>ზოგადი შენიშვნები:</u>

1.აღმასრულებელი ხელისუფლება გმაოტოვებულია

2.მიზანშეწონილი აფხაზეთის (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის) უმაღლესი თანამდებობის პირის სტატუსი იყოს "აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აფხაზეთის მეთაური".

3.ამ სტატუსის ქვეშ აიგოს აღმასრულებელი ხელისუფლების (მთვრობის) სტრუქტურა, განისაზღვროს ქვესტრუქტურები (სამინისტროები, უწყებები, რაიონისა და საქალაქო ხელმძღვანელობა)

რ.გელანტია